



# ასპინძის

## სახიობი

ასპინძის მუნიციპალიტეტი \* მარტი. 2023 \* (1)84

### ასპინძის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (თავმჯდომარე ბესიკ ბერიძე) მიმდინარე წლის 1 თებერვალს N4 დადგენილებით დამტკიცებული იქნა ასპინძის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი. დაინტერესებულ მკითხველს ვთავაზობთ ბიუჯეტის ძირითად პარამეტრებს.

#### ასპინძის მუნიციპალიტეტის შემოსავლები

ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 2023 წლისათვის განისაზღვრა 12 572,1 ათასი ლარის ოდენობით.

ფიზიკურ პირებიდან იურიდიულ პირებიდან	1131151	2,5	2,9		2,9	2,0	2,0
სხვა გადასახადები ქონებაზე	1136	0,0	0,0		0,0		
სხვა გადასახადები (დ-გ)	116	1 025,0	1 416,0		1 416,0	5 000,0	5 000,0

დასახელება	კოდი	2021 წლის ფაქტი		2022 წლის ფაქტი		2023 წლის გეგმა		
		სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
1	შემოსავლები	9 951,6	10 615,4	4 944,6	5 670,8	12 572,1	2 862,1	9 710,0
11	გადასახადები	4 580,0	4 607,9	0,0	4 607,9	8 850,0	0,0	8 850,0
13	გრანტები	4 772,9	5 089,6	4 944,6	145,0	3 112,1	2 862,1	250,0
14	სხვა შემოსავლები	598,7	917,9	0,0	917,9	610,0	0,0	610,0

#### ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

ასპინძის მუნიციპალიტეტის გრანტები განისაზღვრა 3 112,1 ათასი ლარის ოდენობით.


დასახელება	კოდი	2021 წლის ფაქტი		2022 წლის ფაქტი		2023 წლის გეგმა		
		სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	13	4 772,9	5 089,6	4 944,6	145,0	3 112,1	2 862,1	250,0
სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	637,7	0,0		0,0	0,0		0,0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	4 135,2	5 089,6	4 944,6	145,0	3 112,1	2 862,1	250,0
სპეციალური ტრანსფერი	1332	0,0	0,0			0,0		
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	1311	245,0	319,0	174,0	145,0	250,0	0,0	250,0
გათანაბრებითი ტრანსფერი		0,0	0,0			0,0		
მიზნობრივი ტრანსფერი დეკლარირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად		186,0	243,1	98,1	145,0	250,0		250,0
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად		59,0	76,0	76,0		0,0		
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	1312	3 890,1	4 770,5	4 770,5	0,0	2 862,1	2 862,1	0,0
რეგიონებში განსახორციელებული პროექტების ფონდი		3 596,1	4 476,5	4 476,5		2 568,1	2 568,1	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		294,0	294,0	294,0		294,0	294,0	

#### ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვრა 8 850,0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	კოდი	2021 წლის ფაქტი		2022 წლის ფაქტი		2023 წლის გეგმა		
		სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	11	4 580,0	4 607,9	0,0	4 607,9	8 850,0	0,0	8 850,0
ქონების გადასახადი	113	3 555,0	3 191,8	0,0	3 191,8	3 850,0	0,0	3 850,0
საქართველოს სანარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113111	3 285,7	2 985,2		2 985,2	3 813,0		3 813,0
უცხოურ სანარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113112	0,0	0,0			0,0		
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113113	1,3	1,4	0,0	1,4	0,0	0,0	0,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113114	217,6	154,2	0,0	154,2	30,0	0,0	30,0
ფიზიკურ პირებიდან	1131141	119,8	98,2		98,2	25,0		25,0
იურიდიულ პირებიდან	1131142	97,8	55,9		55,9	5,0		5,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113115	50,4	51,1	0,0	51,1	7,0	0,0	7,0

#### მუნიციპალიტეტის ძირითად პრიორიტეტებად ინფრასტრუქტურის განვითარება, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია განისაზღვრა

ასპინძის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. პრიორიტეტის ფარგლებში გაგეგმვლილია საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია (ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების და ხიდების რეაბილიტაცია), მრავალბინიანი საც- 



ხოვრებელი კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია, ასპინძის ქუჩების გარე განათების მთლიანად დასრულება და არსებული ქსელის მოვლა-პატრონობა, ასევე დასუფთავების ღონისძიებები, სარწყავი არხების მშენებლობა-რეაბილიტაცია, აგრეთვე საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 6 391,0 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	4 710,5	4 715,1	6 391,0
საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია	2 897,3	2 804,5	4 245,2
კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	1 198,4	1 305,1	1 375,1
წყლის სისტემების რეაბილიტაცია ექსპლუატაცია	589,4	748,4	614,7
გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	315,1	340,8	435,0
ა(ა)იპ გარე განათება	109,2	125,6	135,0
გარე განათების ექსპლუატაცია	205,9	215,1	300,0
სარწყავი არხების მოწყობა-რეაბილიტაცია	183,3	199,1	230,0
ბინათმშენებლობა	28,1	14,7	90,0
მდინარის ნაპირსამაგრი სამუშაოები	82,5	2,0	5,4
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა	83,4	35,3	183,5
სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	531,4	570,3	587,2

**საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია (4245,2 ათასი ლარი)**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გენდერულად მგრძობიარე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობას, არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვას, დაზიანებული გზებისა და საგზაო ნაგებობების (ხიდები, მილხიდები, გზების დამცავი კედლები, გაბიონები და სხვა) რეაბილიტაციას, ფეხით მოსიარულეთა ინფრასტრუქტურის განვითარებას (ტროტუარების, პანდუსებისა და ბორდიურების მოწყობა), გზების მოდინებული წყლის ზემოქმედებისაგან დაცვის მიზნით კიუვეტების, ცხაურების და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციას, საგზაო მოძრაობის ორგანიზების მიზნით საგზაო ნიშნების და მონიშვნების (მ. შ. ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელი და სიჩქარის შემზღვეველი საშუალებები) მოწყობას. ასევე გზების თოვლის საფარისაგან განმედიდებს და სხვა.

**წყლის სისტემების რეაბილიტაცია ექსპლუატაცია (614,7 ათასი ლარი)**

ასპინძის მუნიციპალიტეტში სასმელი წყალი ცენტრალიზებული ქსელით მიწოდება მოსახლეობის 85%, მათ შორის დ. ასპინძის, სოფლების ოთის, ოშორის, იდუმალის 1582 ოჯახს. ასპინძის მუნიციპალიტეტის 9 სოფელს სასმელი წყლის მიწოდებას ზედამხედველობას და მომსახურებას უწევს ა(ა)იპ ასპინძის მელორაციის და სოფლების სასმელი წყლის ცენტრი 805 ოჯახს. სასმელი წყლის ქსელი მოწყობილია დაბის მთლიან ტერიტორიაზე. მის მიერ ხორციელდება მუნიციპალიტეტის დასახლებულ ერთეულებში წყალმომარაგების და წყალარინების ქსელების მოწყობა-გაფართოება. პროგრამა ითვალისწინებს სოფელ ძველის და ჭობარეთის სასმელი წყლის მაგისტრალის რეაბილიტაციას. ასევე სარწყავი და სანიაღვრე არხების მოწყობას და სხვა.

**გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (435,0 ათასი ლარი)**

პროგრამა ითვალისწინებს გარე განათების ქსელის გაფართოებას. ახალი ტექნოლოგიური მიდნეების გათვალისწინებით – LED სანათების მოწყობას, ასევე მოძველებული სანათების ახალი სანათებით ჩანაცვლებას. ღამის საათებში მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალების, ბავშვების, ხანდაზმული და შშმ პირთა კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში ღამის განათების უზრუნველყოფა. გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება ამცირებს დანაშაულის რისკებს. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია. ღამის განათების ქსელებით უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტების ცენტრალური უბნები და ასპინძის ქუჩების, მოედნების და ღია სივრცეების 80%. პროგრამის მიზანს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიების სრულად მოცვა გარე განათებით.

**სარწყავი არხების და სოფლების სასმელი წყლის სისტემის ექსპლუატაცია (230,0 ათასი ლარი)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მიმდინარე სარემონტო გრავიტაციული არხების ნატანისაგან, – დაბის ტერიტორიაზე ათივე გრავიტაციული არხის განმედიდითი სამუშაოები, რომლის სიგრძეა 21319 მეტრი და სარგებლობს 720 ბენეფიციარი, სოფელ რუსთავის სადანეო ქსელის სიგრძეა 1360 მეტრი და სარგებლობს 97 მოსახლე, ასევე ნიჯგორის გრავიტაციული არხი, რომლის სიგრძეა 2757 მეტრი (სარგებლობს 43 მოსახლე) და სოფელ ხიზაბავრის გრავიტაციული არხი, რომლის სიგრძეა 4125 მეტრი, სარგებლობს 175 ბენეფიციარი. აგრეთვე განხორციელდება დროებითი სათავე ნაგებობების რეაბილიტაცია, მილხიდების, დიუქურების და მოპირკეთებული წყალსატარების წმენდა, სადერევაციო არხის წმენდა, სატუმბო სადგურების ძალოვანი აგრეგატების (ტუმბო, ძრავი) მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, ელექტროაღრიცხვის და ელ.მოწყობილობების მიმდინარე რემონტი, სადანეო ქსელებზე შესადულებელი სამუშაოების წარმოება, წყალსაცავზე - შემავსებელი და სამომხმარებლო გრავიტაციული არხების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, წყალსაცავის ტერიტორიის კეთილმოწყობა გრავიტაციული არხების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა, სატუმბო სადგურების, წყალსაცავის, სოფლების სასმელი წყლის მოვლა-პატრონობა-შენახვა, სოფლების სასმელი წყლის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები ცხრა სოფელში, მათ შორის სოფელ ძველში, რომელიც სასმელი წყლით ამარაგებს 79 ბენეფიციარს, საროში-50-ს, ნიჯგორში -78-ს, ხიზაბავრაში 120-ს, ივერაში - 71-ს, ტოლოში 101-ს, დამალაში - 123-ს, ხერთვისში -34-ს და სოფელი ჭობარეთში 71 ბენეფიციარს.

**ბინათმშენებლობა (90, 0 ათასი ლარი)**

იგი ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესებას. განხორციელდება ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საცხოვრებელი კორპუსების და სხვა შენობების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია. ასევე სტიქიის შედეგად დაზიანებული სახლების



მეპატრონეებისათვის სამშენებლო მასალის შექმნა და სხვა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავალსართულიანი კორპუსები, რომლებიც საჭიროებენ საძირკვლის გამაგრებას, ფასადებისა და სახურავების რეაბილიტაციას. პროექტის მიზანია თანდათანობით განხორციელდეს დაბაში არსებული კორპუსების კეთილმოწყობა.

**მდინარის ნაპირსამაგრი სამუშაოები (5,4 ათასი ლარი)**

იგი ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ მდინარეებზე კალაპოტების გამაგრებას, ეროზიისაგან დაცვას, ნათესების და მოსახლეობის დაცვას ჭარბი წყლებისაგან და სხვა.

**სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები (587, 2 ათასი ლარი)**

სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ინფრასტრუქტურული პირობების გაუმჯობესების მიზნით, მოსახლეობასთან შეხვედრების დროს მათი მოთხოვნების შესაბამისად, განსახორციელებელი პრიორიტეტები შერჩევსა და პრიორიტეტების გათვალისწინებით, მომზადდება შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციების სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელების მიზნით.

**დასუფთავების ღონისძიებები (500, 0 ათასი ლარი)**

გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ცალკეული ტერიტორიის, მწვანე საფარის, დაბაში არსებული ეზოების დაგვა-დასუფთავება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიის თოვლის საფარისაგან განმედიდებს, მოყინვის სანინაღმდეგო სამუშაოების განხორციელება და საჭიროების შემთხვევაში თოვლის მასის გატანა; საყოფაცხოვრებო, მყარი და დიდი ზომის ნარჩენების, ქუჩების მონახვეტის შეგროვება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ 270 ურნებში და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება; დაბის ტერიტორიიდან, ასევე მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების ტერიტორიებიდან ნარჩენების გატანას მოემსახურება 2 ნაგავზიდი. დღეს არსებული სიტუაციით მუნიციპალიტეტში ყოველდღიურად სუფთავდება 117 559 კვმ ფართობი. პროგრამის ფარგლებში 2023 წლისათვის დაიგეგმა 2 400 კვმ-ით მეტი ფართობის დაგვა, სულ ყოველდღიურად მოხდება 119 959 კვმ ფართობის დაგვა-დასუფთავება. ნარჩენების მართვის პროცესში მოხდება გენდერული ასპექტების გათვალისწინება.

**ბანათლება**

სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში უზრუნველყოფილი იქნება ინკლუზია, აღსაზრდელების უსაფრთხოება და საუკეთესო ინტერესების დაცვა. გაძლიერდება სტანდარტის შესრულების კონტროლი. გაგრძელდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ახალი ინფრასტრუქტურის განვითარება და არსებულის გაუმჯობესება. აღმზრდელ-პედაგოგების ახალი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად ამოქმედდება კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემა, დაიწყება აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული გადამზადება, ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მოზიდვა. ასპინძის მუნიციპალიტეტისთვის მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით, დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელი განათლების განვითარებას. იგი მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. ამ პროგრამის მიზანია სასკოლო განათლებისათვის ნორჩი აღსაზრდელების მომზადება, მათი ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი აღზრდა, შემოქმედებითი შესაძლებლობების და ინტერესების ხელშეწყობა. მნიშვნელოვანი როლი მიენიჭება მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებს. ასევე მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფას. განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვრა 1 607,4 ათასი ლარი.

**ა(ა)იპ ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება (900 ,0 ათასი ლარი)**

ასპინძის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 2-დან 6-წლამდე ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა. ამჟამად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 4 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, – 2 ასპინძაში, თითო რუსთავსა და ტოლოში. ოთხივე საბავშვო ბაღში ამჟამად 400 ბავშვია რეგისტრირებული. წელს ექსპლუატაციაში შევა სოფელ ძველის ახლად ამშენებული საბავშვო ბაღი (გათვლილია 60 აღსაზრდელებზე), რაც გაზრდის სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობას. საბავშვო ბაღებში ჯამში დასაქმებულია 85 ადამიანი. მუნიციპალიტეტის სოფლებში ხორციელდება სკოლამდელი ასაკის ბავშვთა უფასო ტრანსპორტირება ასპინძის საბავშვო ბაღებში.

**ბაღების რეაბილიტაცია (702,0 ათასი ლარი)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბაღების სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტში არსებული ბაღების კეთილმოწყობა. ბაღების რეაბილიტაციის პროცესში გათვალისწინებული იქნება გენდერული ასპექტები, ადაპტირდება ბაღის შენობები.

**საჯარო სკოლები (5,0 ათასი ლარი)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროგრამის ფარგ-





ლემბი კეთილმოწყობა მუნიციპალიტეტში არსებული სკოლები, ასევე უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ტრანსპორტირება.

### კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (1 156,2 ათასი ლარი)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდობში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	1 181,4	1 145,5	1 156,2
სპორტის განვითარების ხელშეწყობა	357,7	367,1	475,3
სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა	122,8	144,2	225,3
სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა	234,9	223,1	250,0
ა(ა)იპ ასპინძის სასპორტო გაერთიანება	126,9	145,0	160,0
ა(ა) იპ სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სარაგბო კლუბი ტაო	108,0	80,0	90,0
კულტურის განვითარების ხელშეწყობა	719,2	595,9	440,9
კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა	719,2	595,9	440,9
ა(ა) ასპინძის სახელოვნებო და სამეზობლო დანესეხულეთა გაერთიანება კულტურის ცენტრი	165,5	190,6	209,0
მთავარი ბიბლიოთეკა	65,9	74,2	80,0
სახელოვნებო სკოლები	107,0	125,7	132,0
კულტურის ობიექტების მშენებლობა	380,8	205,4	19,9
ახალგაზრდობის ორგანიზაციების დაფინანსება	44,5	92,2	140,0
რელიგია	60,0	90,0	100,0

### სპორტული ღონისძიების ხელშეწყობა (225,3 ათასი ლარი)

თანმიმდევრობით წარიმართება და ორგანიზება გაუკეთდება სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას, საზოგადოების აქტიური ჩართვა სპორტულ ცხოვრებაში, სპორტული მიღწევების გაუმჯობესებას.

სპორტული ღონისძიებებში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდობის დაჯილდოებას თანხებით, მედლებით და ფასიანი საჩუქრებით;

დახმარებას გაუწევს სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებაში; საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადებში მონაწილეობაში.; სპორტული ღონისძიებების ორგანიზებისათვის პროექტით გათვლილია - სპორტული ინვენტარის, სპორტული ღონისძიებების სამსახურ მომსახურების ხარჯები, სპორტულ ღონისძიებებისათვის სპორტული ფორმების შეძენა. სპორტული მოედნების მოწყობა.

### ა(ა)იპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება (160 ათასი ლარი)

ქვეპროგრამის მიზანია სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება და პოპულარიზაცია, ტრადიციული სპორტის მხარდაჭერა; ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური ჩართვა სპორტულ ცხოვრებაში და პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება. სასპორტო გაერთიანების სერვისების ისე დაგეგმვა, რომ პასუხობდეს გოგონებისა და ბიჭების განსხვავებულ საჭიროებებს და ითვალისწინებდეს მათ ინტერესებს.

წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში არსებული სპორტული წრეების: ბ/რ ჭიდაობის, ფეხბურთის, რაგბის, ძიუდოს, მძლეოსნობის მხარდაჭერა, მონიტორინგის განხორციელება მათი საჭიროებების შეფასება. სულ 6-დან 18 წლამდე 189 ბავშვი და მოზარდი დადის სპორტულ წრეებზე, მათ შორის 174 ბიჭი და 15 გოგო. სულ სპორტულ წრეებს ემსახურება 10 მწვრთნელი და მათ შორის 1 ქალი.

### ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სარაგბო კლუბი ტაო (90,0 ათასი ლარი)

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შექმნილია სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სარაგბო კლუბი „ტაო“. ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სარაგბო კლუბი „ტაო“-ს მთავარი მიზანია სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მოსწავლე-ახალგაზრდობის ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა, ახალგაზრდობის რეგიონში დაკავებისა და დასაქმების ხელშეწყობა, სამცხე-ჯავახეთში რაგბის განვითარება და პოპულარიზაცია.

### ასპინძის სახელოვნებო და სამეზობლო დანესეხულეთა გაერთიანება კულტურის ცენტრი (209 ათასი ლარი)

ა(ა)იპ ასპინძის სახელოვნებო და სამეზობლო დანესეხულეთა გაერთიანება – კულტურის ცენტრში ერთიანდება ფოლკლორული თეატრალური და საესტრადო მიმართ უღებები სახელოვნებო წრეები, რომელშიც 40 ბავშვი და მოზარდი დადის, სახელოვნებო წრეები ფუნქციონირებს მხოლოდ დაბა ასპინძაში. წლის განმავლობაში კულტურის ცენტრი ახორციელებს მუნიციპალიტეტში მოსახლეობის კულტურულ-მემკვიდრეობით საქმიანობაში აქტიურად ჩაბმის მიზნით, ფოლკლორულ, საესტრადო, თეატრალურ, სახალხო და სხვა ღონისძიებების ჩატარებას, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობის ხელშეწყობას და მათი დასვენებას.

აღნიშნული ქვეპროგრამა ითვალისწინებს ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ისტორიულ-კულტურული ძეგლების დაცვასა და მოვლა-პატრონობას, ასევე არსებული სამეზობლო ექსპონატების მოვლა-პატრონობა, მის რესტავრაციაზე ზრუნვას.

### ა(ა)იპ ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკა (80,0 ათასი ლარი)

ყველა ასაკის მკითხველის საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და ბიბლიოგრაფიული მომსახურების მთავარი მიზანია ბიბლიოთეკის მომხმარებელთა მოთხოვნების, ინტერესებისა და პროფესიული მოთხოვნების შესწავლა და ანალიზი, მათი მომსახურებისთვის სათანადო პირობების შექმნა და ინტერესების სრულად და ეფექტურად გამოყენება, მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მდებარე სოფლებში მკითხველთა საბიბლიოთეკო მომსახურების კოორდინაცია. ქართული კულტურის განვითარებისათვის გაერმოს შექმნა, ეროვნული ფასეულობების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილის დამკვიდრება და მისი როლის განმტკიცება, საზოგადოების კულტურული

და სოციალური თვითშეგნების ესთეტიკური განვითარების სრული ხელშეწყობა, საზოგადოების და ხელოვნების სფეროში მოღვაწეთა ურთიერთდამოკიდებულების სტიმულირება, ხელოვნების მიმართ საზოგადოებრივი ინტერესების გაღვივება. მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ბიბლიოთეკით სარგებლობის ხელმისაწვდომობა ყველა ასაკის დაინტერესებულ პირთათვის; საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზება, საბიბლიოთეკო ფონდების შეგროვება, აღრიცხვა, დამუშავება და საკატალოგე მუშაობის წარმოება, საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად მათი დაცვის უზრუნველყოფა, საცნობარო ბიბლიოგრაფიული აპარატის სრულყოფა, საბიბლიოთეკო მარჩვენებლების შედგენა და სტატისტიკის წარმოება, მონაცემთა ბაზის შექმნა, ეროვნული ფასეულობების სისტემაში კულტურის მნიშვნელოვანი ადგილის დამკვიდრება და მისი როლის განმტკიცება ქართული კულტურის განვითარების გარემოს შექმნა. ქართული კულტურის მემკვიდრეობის და თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაცია.

### სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა (132,0 ათასი ლარი)

სამუსიკო სკოლაში ფუნქციონირებს საფორტეპიანო, საესტრადო და გიტარის შემსწავლელი კლასები. სკოლაში დაწყებით სამუსიკო განათლებას იღებს ასპინძის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 130 ბავშვი, დასაქმებულია 16 თანამშრომელი.

მათი მიზანია მოსწავლეებს მისცეს დანეხებითი მუსიკალური განათლება, აზიაროს მუსიკალური ხელოვნების საფუძვლებს, გააცნოს როგორც ქართული, ასევე მსოფლიო ხელოვნების ნიმუშები, შეაყვაროს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა; ასევე, კონკურსების, ფესტივალების და სხვა აქტივობების საშუალებით გამოავლინოს განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები, ჩამოუყალიბოს ესთეტიკური გეოვინება და აღზარდოს აქტიური და ინტელექტუალური მსმენელი. ასევე პროგრამის მეშვეობით ახორციელებს კულტურული ღონისძიებების ორგანიზებას.

### კულტურის ობიექტების მშენებლობა (19,9 ათასი ლარი)

ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფლებში ითვალისწინებს კლუბების შენობების რეაბილიტაციას შესაბამისი სტანდარტების შესაბამისად, მათ შორის სახურავის შეცვლა, რეაბილიტაცია, ფასადის, შიდა სარემონტო სამუშაოების ჩატარება და ეზოს კეთილმოწყობა.

### ახალგაზრდული ორგანიზაციების დაფინანსება (140,0 ათასი ლარი)

2022-2025 წლებში პროგრამა ითვალისწინებს ასპინძის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების, ფესტივალების, სახალხო დღესასწაულების ორგანიზებას, გასართობი-მემკვიდრეობითი საღამოების ორგანიზებას; კულტურული, ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსებას; წარმატებული შემოქმედებითი ახალგაზრდობისა და ჯგუფების წახალისებას; კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და შენარჩუნებას; კულტურული ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტით უზრუნველყოფას. ახალგაზრდობის მოტივაციის გაზრდას, ახალგაზრდობში სასცენო ხელოვნებისა და თეატრის პოპულარიზაციას, ახალგაზრდობის ინტელექტუალურ-მემკვიდრეობით უნარების გაზრდას. ბავშვთა ჩართულობას საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში, ინტელექტუალური უნარების განვითარებასა და ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას.

### რელიგია (100,0 ათასი ლარი)

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და შენარჩუნების მიზნით პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძრისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელებული მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელთაც გააჩნიათ უმნიშვნელოვანესი კულტურული-რელიგიური მნიშვნელობა და ისტორია.

### მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებით და შეღავათებით უზრუნველყოფას.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვრა 624,6 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვრა შემდეგნაირად:

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	377,1	401,9	624,6
ჯანდაცვა	63,4	68,7	84,5
საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	61,6	68,7	84,0
ამბულატორიები	1,8	0,0	0,5
სოციალური უზრუნველყოფა	313,7	333,2	540,1
უფასო სასაბინო დაფინანსება	38,0	41,7	60,0
სოციალურად დაუცველი, გადახდის უუნარო მოსახლეობის სამედიცინო უზრუნველყოფის ხარჯები, ოპერაციების თანადაფინანსების პროგრამა	104,1	89,3	150,0
ასპინძის მუნიციპალიტეტში ახალდაბადებულ ბავშვთა დახმარების პროგრამა	17,9	17,5	35,0
ვეტერანთა და დევნილთა სარიტუალო ხარჯები	0,0	0,0	2,0
სოციალური დახმარებები	133,9	158,7	263,1
ა(ა)იპ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრი	19,9	25,8	30,0

### საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამა (დაფინანსება - 84,0)

გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური და კონტროლი, იმუნო პროფილაქტიკის დაგეგმვა და მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის, სამედიცინო სტატისტიკური მასალის მოპოვება და წარდგენა „DKCJE ცენტრში, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში სანიტარო-ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდემიოლოგიის განხორციელება, დაავადებათა ადრეული გამოვლენა და პროფილაქტიკა, პრევენციული ღონისძიებების გატარება ეპიდემიოლოგიის დანესეხულეთებში ინფექციოთა კონტროლისა და პროფილაქტიკის, სანიტარო-ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა და შერჩევითი კონტროლის განხორციელება. წყლის სანიტარიისა და ჰიგიენის რუტინული მონიტორინგი ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, ტუბერკულოზისა და „C“ ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება, თამბაქოს კონტროლის მონიტორინგი...





